პარასკევი, 1 ოქტომბერი, 1904 წ. 1877 წელიწადი ოც და-მერვე 1904 პარასკევი, 1 ოქტომბერი, 1904 წ.


**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით . . | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, . . | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, . . | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, . . | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, . . | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, . . | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, . . | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, . . | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, . . | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, . . | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, . . | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, . . | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 226 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 226

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს— 3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.


დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 3-ს ოქტომბერს.

---

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრიქონი, მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი, ანუ დიდი განცხადება, ცალკე მორიგებით.

---

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია"

პირველ ოკდომბრიდამ წლის დამლევამდე ჰღირს . . . 3 „ 50 კაპ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს:

პირველ ოკდომბრიდამ წლის დამლევამდე ქალაქში . . . . 1 „ 75 „

„ „ „ „ ქალაქ გარედ . . 2 „ 50

გაზ. ,,ივერიის'' **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდგან 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში:**—„ივერიის" რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა).

**ქუთაისში:**—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათომში:**—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

**საბუნჩაში:**—პეტრე მაჭავარიანთან.

**შორაპანში:**—პართენ ნასიძესთან.

**გორში:**—ანტონ კასრაძესთან.

**საფოსტო ადრესი:** Тифлисъ, Редакція „Иверія".

---

## ახალი საყმაწვილო ჟურნალი

## „ნაკადული"

სურათებით.

გამოიცემა მცირეწლოვან და მოზრდილ ყრმათათვის თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის, პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

წელიწადი იანვარიშვა 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

### პროგრამმა:

1, მოთხრობა და ლექსები. 2, ისტორიული და სამეცნიერო პოპულიარული წერილები, ბიოგრაფია, მოგზაურობა. 3, აღმოჩენა-მოგონებათა ქრონიკა. 5, ნარევი: მოსწრებული სიტყვა-პასუხი და ანეგდოტები, 2, სათამაშონი, გასართობი, რებუსები, ამოცანები, შარადა, გამოცანები, საყმაწვილო კარიკატურები და სხვ. 6, პედაგოგიური წერილები, 7, მკითხველთა წერილები, 8, ფოსტის ყუთი და 9, განცხადებანი.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში 5 მან. ცალკ-ცალკე 3 მან. ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება თითო მანეთის გამოგზავნა რედაქციაში.

გამომცემელი ჟურნალისა კნ. ნინო ელიზბ. ქობულოვისა.

რედაქტორები { კნ. ელის. დ. ერისთავისა. ნინო ნიკ. ზურაბიშვილისა.

რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩაზედ, № 5, სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურიასი.

**ხელის მოწერა მიიღება:** რედაქციაში, წერა-კითხვის გამავრც. საზოგად. კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

**ფოსტის ადრესი:** Тифлисъ. Редакція журн. „НАКАДУЛИ".

---

გამოვიდა და ისყიდება ყველგან

## ნაწერები ს. მესხისა

ტ. 1. II+533 გვ.

ავტორის სურათით და ავტოგრაფით, გამოცემა ს. ფარცხალავასი. ფასი ერთი მ. უმთავრესი საწყობი «წ. კ. გამავ. საზოგადოებაში».

---

გამოვიდა და ისყიდება

## კატალოგი

წარმოსადგენად ნება-დართულ ქართულ პიესებისა.

**ფასი 15 კაპ.**

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვლის (3—3)

---

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

## ლ. დ. დონსკოისა

პარასკევს, 1 ოკდომბერს,

წარმოდგენილი იქნება

## გალკა

ოპერა 4 მოქმ. მუს. მონიუშკოსი.

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნნი ტურლლერი, ნიკიტსკაია და სხვ.; ბ-ნნი სიკაჩინსკი, კომაროვი, პორუბინოვსკი, ზალინსკი, მურატოვი და სხვ.

ბალეტს განაგებს **ჯიოვასსი**. პრიმა-ბალერინა **ლენჩევსკაია**.

უფროსი რეჟისორი ს. ფ. ბეცევიჩი. კაპელმეისტერი ნიკ. მიკლაშევსკი.

**ფასები ჩვეულებრივია.**

დასაწყისი 8 საათზედ.

---

შაბათს, 2 ოკდომბერს,

1-ლი «გალა» წარმოდგენა ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით.

წარმოდგენილი იქნება

## იოან ლეიდენსკი

მუსიკა მეიერბერისა.

ფასები მომატებულია, გარდა ქანდარისა, ბალკონის მეორე და მესამე იარუსისა და გვერდის ბალკონისა.

---

კვირას, 3 ოკდომბერს,

წარმოდგენ. იქნება

## ლაკმე

ოპერა 3 მოქმ., მუსიკა დელიბისა.

2 ოკდომბერიდამ დაწყებული სახელმწიფო სამსახურში მსახურთ შეუძლიანთ მიიღონ ოპერის გამგისაგან ჩეკის სანიშნო წიგნი, მათის ხაზინადრის მიერ ხელ-მოწერილი.

მზადდება პირველად ტფილისში «ნერონი», მუსიკა ა. რუბინშტეინისა.

**ბილეთები იყიდება.**

გამგე ი. კელლერი.

---

## საჭიროა მასწავლებელი

**წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების**

## სკოლებისათვის

გომარეთში და ყალამშიაში (ბორჩალ. მაზრა).

მასწავლებელს ეძლევა გომარეთში ჯამაგირად თვეში 35 მან. და ბინა, ყალამშიაში—30 მან. და ბინა.

მსურველნი უნდა გამოცხადნენ ტფილისში «საზოგადოების» კანცელარიაში, ორშაბათს, 4 ოკდომბერს, $7^1/_2$ საათ. გამოსაცდელ გაკვეთილების მისაცემად. (3—6—1).

---

ოთხშაბათს, 6 ოკდომბერს, საღამოს 8 საათზედ, სამხედრო საბჭოს დარბაზში, კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის სადგომში, მოჰხდება

**ჩვეულებრივი**

## საზოგადო კრება

რუსეთის საგეოგრაფიო საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრთა.

კრების პროგრამა შემდეგია:

1) მოხსენება კ. ნ. სმირნოვისა ჩრდილოეთ ქურდისტანში მოგზაურობის შესახებ.

2) არჩევნები ნამდვილ წევრთა.

კრებაზედ ყველას შეუძლიან დაესწროს უფასოდ. (3—უ—1).

---

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა წინად Набережная, სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი** № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ი. ბალარჯიშვილი** —ბავშვებისა, $9^1/_2$—$10^1/_2$ ს.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 10—11 საათ.

**ლ. ი. კამოევი**—საშარდესი, ვენერიული და ხირურგია. 11—12 საათ. ყოველ დღე.

**მ. ი. კიმონტი**—ხირურგია—კვირაობ., სამშაბათ., ხუთშაბათ. და შაბათ. $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

**მ. ქ. იოსელიანი** —ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 საათ.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია ყოველ დღე 12—1 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—სიფილისისა და კანისა, $12^1/_2$—$1^1/_2$ საათ.

**ბრ. ვ. სოგოლევსკი**—ქირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით. 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

**ლ. მ. მონინი.** ქალისა, საბებ. და ბავშვ. და შემოწმება ძიძებისა ორშაბათ., ოთხშაბ. და პარასკევობით 2—1 საათ.

**ვ. ს. მუსხელაშვილი**—თვალისა ყოველ დღე, გარდა სამშაბ. და კვირ. 2—3 სათ.

**საღამოთი:**

**ბრ. ვ. სოგოლევსკი**—ქირურგია და ორთოპედია 5—6 სათ.

**ტ. ს. დავიდოვი**—შინაგანი და ბავშვებისა 5—6 საათ.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაქტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3—5 მანეთამდე დღე-ღამეში. სამკურნალო გაფართოვებულია ოცის კრაოტით.

ტელეფონი № 274 (წ.)

---

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს —67 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**გაგაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

---

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ჟ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოლაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**გ. ს. ელში.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**გ. ა. თარხანოვი.** $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს საზოლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

---

ძმანი და დანი განსვენებულის **სტეფანე კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილისა** დიდს მადლობას უძღვნიან ყველას, ვინც პატივი სცა მის სახსენებელს.

---

## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

ადმირალ როჟდესტვენსკის ესკადრა.—ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს წერილიდგან.—ორი სურათი.

უცხოეთის გაზეთებში გამოცხადებულია სია ბალტიის ფლოტის გემებისა, რომლებიც შორეულ აღმოსავლეთს იგზავნებიან, კონტრ-ადმირალ როჟდესტვენსკის მეთაურობით.

ამ ესკადრაში იქნება 7 საესკადრო ჯავშნოსანი, 5 ნაქანა, მოჯაჰვული კრეისერი, 7 საესკადრო ნალმოსანი, 4 სათადარიკო კრეისერი, 7 სატრანსპორტო გემი და თავისუფალ ფლოტის გემები, სულ 36 გემი, წყალ-ზომით 280,000 ტონი, რაც მთლად იაპონიის ფლოტს აღემატება.

ჯერ მაგალითი არა ყოფილა, რომ ესეთი ძლიერი ესკადრა ამისთანა სიშორეზე გაგზავნილიყოს. წარმოიდგინეთ, რა ძნელი უნდა იყოს ამოდენა სხვა და სხვა ნაირ გემების მიყვანა შორეულ აღმოსავლეთში. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ამ ექსპედიციას დასჭირდება 6 მილიონზე მეტი ქვა-ნახშირი.

ან გემთაგან მხოლოდ 25 ივარგებს ბრძოლაში. დანარჩენები კი მხოლოდ დახმარებას აღმოუჩენენ მოგზაურობის დროს. ხოლო საეჭვოა, რომ გენმანიაში ნაყიდი ოთხი გემიც გამოდგეს ბრძოლაში, რადგან არც თვით გემს და არც მის მანქანებს ჯავშანი არ იფარავს, მტრის ყუმბარა ადვილად დააზიანებს და ზედ არტილერიაც სუსტია. სატრანსპორტო გემები საკმაოდ არ მისდევს ესკადრას, ასე რომ ოთხი სათადარიგო კრეისერიც ქვა-ნახშირის ზიდვას მოუნდება.

ამ რიგად, ადმირალ როჟდესტვენსკის ესკადრაში 21 სამხედრო გემი რჩება, მათ შორის 7 ჯავშნოსანი, 7 კრეისერი და 7 ნალმოსანი. ამ უკანასკნელების შესახებ არ ითქმის. გაჰყვებიან შორეულ აღმოსავლეთამდე თუ არა: ეხლანდელმა ომმა ნათლად დაამტკიცა, რომ ნალმოსნები ჯავშნოსნებისა და დიდ კრეისერების წინააღმდეგ ვერას გახდებიან ბრძოლაში. 28 ივლისს ვეი-ჰაი-ვეისთან ჩვენმა სამხედრო გემებმა ნალმოსნების მთელი გუნდი იფრინეს, თუმცა ნალმოსნებს იქ სწორედ რომ გარემოება ხელს უწყობდა. ამასთანავე ნალმოსნები ნელაც

დადიან და მალეც ფუჭდებიან სულ უბრალო მიზეზით. თუ რომ ამ ნაღმოსნებს დიდი გემები უკან მიიბამენ, მაშინ სატრანსპორტო გემები აღარ მიებმისო. შორის გზისათვის კი სატრანსპორტო გემები უთუოდ საჭიროა. რასაკვირველია, არა ღირს, რომ 7 ნაღმოსნისათვის მთელს ესკადრას დაბრკოლება რამ მიეცეს გზაში, უბრალო მისეზით აქა-იქ შეფერხდეს და დაგვიანდეს.

დიდრონ გემთაგან მხოლოდ 14 გამოდგება ბრძოლაში და ისინიც ორ გვარად უნდა გაიყოს. პირველ რიგს ეკუთვნის 5 საესკადრო ჯავშნოსანი (ალექსანდრე III «ბოროდინო», «ორიოლ», «სუვოროვ» და «ოსლიაბია», რომლებიც ამ 6—8 წლის წინად არის აგებული, და ყველა ჯავშნით მოცული კრეისერები. მეორე რიგში რჩება უკვე დაძველებული წინანდელ სისტემის კრეისერები («ნავარინ», «სისოი ველიკი», ადმირალ ნახიმოვ» და «დიმიტრი დონსკოი». მაგრამ გენერალ როჟდესტვენსკიმ რომ მოახერხოს ვლადივოსტოკს მისვლა, თავის ესკადრის ახალი ჯავშნოსნები ადმირალ სკრიდლოვის ესკადრას შეუერთოს, მაშინ რუსის ფლოტს მეტი ძალა ექმნება, ვიდრე ადმირალ ტოგოს ესკადრას და იაპონიის ფლოტს უშიშრად შეებრძოლება. (რ. ვ.).

—

ვას. ნემიროვიჩ-დანჩენკო სწერს „რუსსკ. სლოვოში“:

უნაყოფო სიმსივნეა. დიაღ, სიმსივნე და არა სერი, ზედ თხრილებია. მერე რავდენია გარშემო! და რავდენი ამისთანა უბრძოლოდ მივატოვეთ გაიჯოუს, დაშიჩაოსა და ხაიჩენში. რა კარგა არის დათხრილი. ინჟენერებს შეუძლიანთ თავი მოიწონონ ესეთის ხელოვნებით. მაგრამ რისთვის უშრომიათ. იმის მაგივრად, რომ შიგ ჯარი ჩავაყენოთ და ამისთანა სიმაგრეებით მტერი შევიოკოთ, ჩვენ ვსტოვებთ და წყნარად მოვდივართ. საკმარისია მრისხანედ დაგვემუქრონ, იაპონელები წინ წასულან და გზის გადაჭრას გვიპირობსო, რომ ჩვენ ცხარე ბრძოლისა და თითქმის გამარჯვების შემდეგ უკან დავიწიოთ და ყოველივე იაპონელებს დავუთმოთ, მე არ მახსოვს, რომ წინა რიგის სიმაგრეებიდგან მეორე რიგზე დაგვეწიოს, გარდა ლიაოიანისა, ჩვენ შევჯგუფდებოდით და კეთილ-გონიერად უკან მოვდიოდით. გაოცებულ იაპონელებს ვაძლევდით გენერალ ველიჩკოსა და მის აფიცრების ნამუშავარს,—ნახეთ და გაიკვირეთ, რა ოსტატები ვყოფილვართო. იქმნება, ჩვენ რომ წინ წავიდეთ, არტილერიის ბრძოლაში თავგამოდებულმა იაპონელებმაც თავის ხელოვნების ნიმუშები დაგვიტოვოს. იქმნება, ომი იმასა ჰქვიან, რომ ვთხაროთ ყველგან ყოველ შემთხვევისათვის? დღეს აქ, ხვალ იქ...

ჩვენი სალდათები ამბობენ იაპონელებზე:

— ქაჯურად იმალება, გგონია, აი ეხლა კი ხელთ ვიგდეო, ჰხედავ, სულ სხვა ადგილიდგან ისვრის ყუმბარას.

— ჩვენ იმას გავაქრობდით, მაგრამ ვერ მივეპარეთ! აი, თითქო ქუდი უნდა წამოაფხატო თავზე, ის კი გამქრალა. აქ რომ ჩვენი დედაკაცები იყვნენ, იტყოდნენ უჩინ-მაჩინის ქუდები აქვთო»...

«ნოვი კრაი«-ში აწერილია, სხვათა შორის, შემდეგი ამბავი პორტ-არტურის ბრძოლისა.

მზიანი დილაა, წყნარი, ბრწყინვალე. ლუნვანტანის ხეობა და ზელიონის გორის (მწვანე მთა) ფერდობები, ამწვანებულია და მზის ალმაცრივი სხივები ოქროს ფრად აელვარებს.

მტრის ოც და ოთხმა ზარბაზანმა ტყვია სეტყვასავით დააყარეს ჩვენს თხრილებს. ჩვენი მსროლელები სანგრებში დაიმალნენ და უცდიან, მოიტანს მეორე იერიშს, თუ არა. ჯერ არ იციან, რა მხარეს დაეცემა. ჩვენი მარჯვენა ფრთა გაჭიმულია 10 ვერსზე, მარცხენა კი 15-მდე.

დილის ცხრა საათი იქმნებოდა, რომ მტერმა თოფის სროლა ასტეხა და წინ წამოიწია. არტილერია ცოტა შეყუჩდა. სამაგიეროდ თ-დ ჩხეიძემ და კაპიტანმა სკრიდლოვმა ზარბაზნები მომართეს და და მტერს დაუშინეს. ყუმბარების ზუზუნმა, შრიალმა ქარიშხალი ასტეხა... არ გასულა ერთი საათი, რომ თოფის სროლა მტერმა შეაჩერა. ჩვენმა ზარბაზნებმა თავისი დანიშნულება უკვე შეასრულა: მტერმა ერთი ნაბიჯიც ვეღარ წამოდგა ჩვენკენ. ამ ერთმა საათმა რამდენს მოუსპო სიცოცხლე.

შუადღისას სროლა შესუსტდა. იაპონელები თავის ცხოვრების წეს-რიგს არ დაარღვევენ. იმათი სალდათები და აფიცრები საუზმეს შეუდგნენ. პაწაწა ჩხირებით თითო მუჭა ბრინჯს დაუწყეს კენკვა.

არ გაყუჩნდნენ მხოლოდ მორიგი ზარბაზნები, რომლებიც ხუთ-ფუთიან ყუმბარებს უგზავნიდნენ ხან თ-დ ჩხეიძეს, ხან კაპიტან სკრიდლოვს,

2 საათზე ისევ ისევ ასტყდა საშინელი გრიალი.

შტაბში მოგიდასთან ჩამომჯდარა მუსიკის ლოტბარი მიხაილოვი; რავდენიმე აფიცერი, საუზმით გამხიარულებული, ხარხარებს.

— იცით, ჩვენმა ლოტბარმა ერთი ახალი რამ მოიგონა. ზუზუნზე ატყობს, სად დაეცემა ყუმბარა: ბატარეიაზე. აქ, თუ ჩვენს იქით.

— რა გიკვირს? დაუგდეთ ყური: ზუზუნში დაბალ-მაღალი ჰანგი ისმის. თუ **მი** ასწია, იცოდეთ, თ-დ ჩხეიძის ბატარეას დაეცემა, **ფა**—ჩვენთან, **სოლ**—თავს გადაგვევლება.

დავუგდეთ ყური. მართლაც ასე მოხდა **მი**—ბატარეას დაეცა...

ცხრა საათამდე ყუმბარები სეტყვასავით მოდიოდა· მთელი ლუნვანტანის ხეობა ტყვიით მოიფინა. ეტყობა, იაპონელები საიერიშოდ ემზადებიან.

ექვსის ნახევარზე ზარბაზნები გაჩუმდნენ და ისევ თოფის სროლა ასტყდა. მზე მთლად იქით ჩაესვენა. არე-მარეს ბინდი გადაეკრა. თოფის სროლაც შესუსტდა. თან და თან მდუმარება გამეფდა, მთვარე ღრუბლებში დამალულა და ბნელს ღამეს სიმშვიდეს არ ურღვევს.

# ტ ფ ი ლ ი ს ი

გუშინ, 30 სეკდემბერს, კათოლიკეთა მიძინების ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა მესსა და პანაშვიდი განსვენებულის სტ. კ.-ძის ზუბალაშვილის სულის მოსახსენიებლად. მესსა შეასრულა მამა დომინიკ მუღასაშვილმა მამა ანსელმო მღებრიშვილისა და მამა იოანე გვარამაძის თანამწირველობით, მამა დომინიკმა შუა წირვის დროს წარმოსთქვა სიტყვა და აღნიშნა, რაოდენად კარგი და ადამიანური გრძნობაა გრძნობა მადლობისა, მადლიერებისა, რომელიც გამოიჩინა ქართველთა საზოგადოებამ განსვენებულის სახელის პატივისცემითაო. ეს წირვა და პანაშვიდიც, რომელსაც გვა' დევინებს ტფ. სათ. აზნ. სკოლა, დრამატიული საზოგადოება, წ. კ. საზოგადოება და გაზ. „ივერიის“ რედაქცია აგრეთვე იმის ნიშანია და მომასწავებელი, რომ ეს ჩვენი დაწესებულებანი აფასებდნენ იმ ამაგს, იმ დახმარებას, რომელიც განსვენებულმა გაუწია ქართველთ საზოგადო საქმესაო მესსასა და პანაშვიდს დაესწრნენ და და ძმა განსვენებულისა. საზოგადოება დიდძალი იყო ეკკლესიაში.

*** ტფილისის ქალაქის მოურავის მოადგილემ თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა წარუდგინა ტფ. გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს ქალაქის საბჭოს ოთხის ხმოსნის განცხადება. ამ განცხადებით ხმოსნები სთხოვენ ბ-ნ გუბერნატორს, წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, რომ ქალაქის საბჭოს 27 სეკდემბრის დადგენილება შინაგან საქმეთა მინისტრის თავ. პ. დ. სვიატოპოლკ-მირსკისათვის თანაგრძნობის დეპეშის გაგზავნა ეხლავე მოჰხდეს და არ მოუცადოს ორის კვირის ვადას, როგორც კანონითაა დადგენილიო.

*** ამ წლის 1-ლ ოკდომბრიდგან (დღეიდგან) არსდება თავშესაფარი 25 ვაჟისა და 25 ქალისათვის, იაპონიასთან ომში დაღუპულ მეომართა ობლებისათვის, და სანატორია 30 აფიცრისათვის. სანატორიას გამართავენ ბათუმის მახლობლად, მწვანე კონცხზედ (Зеленый мысъ). თავშესაფარი და სანატორია შეინახება კავკასიის რკინის გზების მოხელეთა და მსახურთა' ნებაყოფლობითი შემოწირულებით. ყოველგვარის ცნობების შეტყობა შეიძლება რკინის გზის დედათა კომიტეტის თავმჯდომარის ქ-ნ მ. ნ. რახმანისაგან, რომელიც მიიღებს აგრეთვე თხოვნებს თავშესაფარში ბავშვების შესახებ ყოველ დღე, ნაშუადღევის 1-ლ საათიდან 2-მდე (მიხეილის პროსპექტი, № 20). სანატორიის შესახებ ცნობების მიღება შეიძლება რკინის გზათა გამგეობაში.

*** ქალაქის სასანიტარო აღმასრულებელმა კომისიამ თავის უკანასკნელს კრებაზედ დაადგინა, სთხოვოს ყველა ნაწილების სასანიტარო მზრუნველთ, რომ გულდასმით დაათვალიერონ ტფილისის ყველა სასწავლებლები, განსაკუთრებით ისინი, სადაც პანსიონია.

*** დღეს ტფილისსა და მცხეთას შუა, სვეტი-ცხოვლობის დღესასწაულისა გამო, მატარებლები ივლიან ყოველ ორ საათში, პირველი კლასის ბილეთი ეღირება 53 კაპ. მეორე კლასისა—32 კაპ. და მე-3—21 კაპ.

*** ოფიციალურის ცნობებით, ბაქოში 27 სეკდემბერს ხოლერით ავად გამხდარა 5 კაცი, გადაცვლილა 5.

*** თიანეთის მაზრის უფროსმა წარმოუდგინა ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს პროექტი თიანეთის მაზრის ვოლოსტებად და სოფლის საზოგადოებად დაყოფისა. ეს პროექტი მაზრის უფროსს შეუმუშავებია მომრიგებელ შუაკაცთან ერთად; მაზრის უფროსსა და მომრიგებელ შუა კაცს პროექტის შედგენის დროს სგაუთვალისწინებიათ, ის გარემოება რომ ერთის ტომის მცხოვრებნი ერთს ვოლოსტში მოჰყვნენ და მომავალ სავოლოსტო სამმართველოებთან გაადვილებული იქმნას დამოკიდებულებანი. პროექტში აღნიშნულია აგრეთვე ისიც, ვოლოსტის რომელ სოფელს რისი გარდახდა შეეძლება

*** დღეს, 1-ლ ოქტომბერს, კრება ექმნება ტფილისის ქალაქის საბჭოს იმ კომისიას, რომელსაც დავალებული აქვს ხალხის ჯანმრთელობისათვის ზრუნვა. კრებამ უნდა განიხილოს სავალდებულო დადგენილებანი მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირის მიწით ამოვსების შესახებ იმ ადგილას, სადაც პაპოვის წისქვილი იყო.

*** დღეიდგან დაიწყება წესიერი მიმოსვლა მატარებლებისა ძეგამ-კოველიარის ორ-ლიანდაგიან გზაზედ.

*** დღეს, პარასკევს, 1-ლ ოკდომბერს, დანიშნულია კრება კავკასიის ღარიბ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების გამგეობისა, რომელმაც უნდა ამოირჩიოს საზოგადოების თავმჯდომარე,

*** გუშინ წინ, 29 სეკდემბერს, დუშეთში დაიწყო ტფილისის ოლქის სასამართლოს სესსიის სისხლის სამართლის მე-2 განყოფილების სხდომები, რომელიც გასტანს 5 ოკდომბრამდე.

*** 28 სეკდემბერს ტფილისის საბალოსნო სკოლაში დაიწყო გასათავებელ კლასის ეგზამენები სპეციალურ საგნებისა და ბუნების მეტყველის მეცნიერებისა.

*** ამას წინად ვწერდით, რომ ძმ. ენაკოლოფოვები შუამდგომლობდნენ ტფ. გუბერნატორის წინაშე, ნება მოგვეცით, რომ ტფილისში დავაარსოთ გალენის ნივთეულობის (სააფთიაქო) ფაბრიკა. გუბერნატორს შეუწყნარებია ეს შუამდგომლობა, ასეთი ფაბრიკა პირველი იქნება ტფილისში.

# საქართველოს ამბები

**კახეთი.** ალავერდობამ და მისმა სწორმა უმნიშვნელოდ ჩაიარა; არც მლოცავს დააცალა ლოცვა; მთიელებსა და ბარელებსაც მოუსპო შემთხვევა ამ ორად ორ დღეს წელიწადში ენახათ ერთმანეთი, შეეძინათ ურთიერთის ნაწარმოები. 9 სეკდემბრიდამ დაიწყო წვიმა და 23 სეკდემბრამდის დღე და ღამე განუწყვეტლივ სწვიმდა ბარში; ამავე დროს კავკასიონის მთებზედ თოვდა ბარშიაც სიგრილე სიცივედ გადაიქცა.

14-ს, ალავერდობას, მწირველი იყო ეპისკოპოზი ალავერდისა, ყოვლად სამღვდელო ექვთიმე, აგრეთვე მწირველი იყო სწორზედაც, მაგრამ დიადი ტაძარი ალავერდისა ნახევარზედ მეტად ცარიელი იყო. ვინც იყო, ისიც საკვირველია, რომ ამ გადაუღებელ წვიმას არ შეუშინდნენ და ამას გარდა დასთრგუნეს ის დაბრკოლებანი, რომელნიც გზაზედ დაჰხვდა, საქონლის ჭირის გამო თელავზედ გამოვლილ მლოცავებს აბრუნებდნენ უკან, საქონლის ჭირია, ალავერდში არ გაგიშვებთო.

საქონლის ჭირმა ბევრად ადრე იჩინა თავი სოფ. ოქიოში, რომელიც ალავერდიდამ 8 ვერს მანძილზედ მდებარეობს სამხრეთით და რომელსაც ალავერდის გზა არა ჰხვდება. თუ არ გაუშვებდნენ ქიზიყელებს, განა არ შეიძლებოდა ქიზიყშივე გამოეცხადებინათ. როცა 50—80 ვერსამდე გამოიარეს და 16 ვერსი-ღა დარჩათ გასავლელი, აქ უცხადებენ, შინ დაბრუნდითო. სწორედ მოგახსენოთ, დიდი გონებით გამჭრიახობა უნდა, ამისთანა წეს-რიგის ჩამოგდებას!?

ახალ მოდური ქურდობისა არ იყოს—დანაკარგს იპოვნი, თუ გადაიხდი ნახევარს მაინც დანაკარგის ღირებულისას, და ქურდს-კი ვერ იპოვნი.

25 სეკდემბერს ყოვლად სამღვდელო ექვთიმემ, ალავერდის ეპისკოპოზმა, სწირა თელავის ტაძარში, ინახულა ამავე ტაძრის სამრევლო სკოლა, სადაც ბევრს ესაუბრა ბავშვებს და მოიწონა მეცადინეობა მასწავლებელთა. 26-ს სწირა ადგილობრივ მღვდელთა თანამწირველობით თელავის სასულიერო სასწავლებლის ეკკლესიაში, სადაც გალობდა მოსწავლეთა ორი გუნდი—რუსულად და ქართულად. წირვის შემდეგ ლიტანიით გავიდნენ საქალაქო ბაღში და აქ გადიხადეს პარაკლისი. დიდძალი ხალხი დაესწრო წირვასა და ლიტანიას. წირვაზედ ყოვლად სამღვდელომ სიტყვა წარმოსთქვა, რომლის ერთ ნახევრით მიჰმართა მოსწავლეებს და მეორე ნახევრით დამსწრე საზოგადოებას.

მართალია, ორი კვირის განუწყვეტელმა წვიმამ ბევრს მოაბეზრა თავი, მაგრამ 24-ს აქეთ ისეთი თბილი დღეები და მოწმენდილი ღამეები დაიჭირა, რომ გადახდილი ჭირი დაგვავიწყა. თუმცა ალავერდობის და იმის სწორის დაბრუნება არ შეიძლება, მაგრამ საუკეთესო ღვინოების დაყენება-კი შეიძლება, თუ ამისთანა ამინდი გაგრძელდა ორი-სამი კვირა.

ეს წერილი ფოსტაში მიმქონდა, რომ გზაზედ ერთი შილდელ კაცის საცოდაობა ვნახე: დღეს 28 სეკდეებერს, დილით, ურმით მოახლოვებია თელავს, ჯერ ადრე ყოფილა, თელავის პირში კამეჩები გამოუშვია, არ გასულა ნახევარ საათი კამეჩები ვიღაცას წაუსხავს. თელავში დახვედრია მახარობელი, სამი თუმანი მამე კამეჩებს გიპოვნიო. გამართულა შუა ბაზარში ვაჭრობა, 12 მანეთზე ჩამოუყვანიათ, ორი მანეთი ქირის აღებული ჰქონია კამეჩების პატრონს და თუმნათაც საპალნე ტკბილი გაუყიდნია, მით დაუხსნია კამეჩები; მე სწორედ იმ დროს წავესწარ, როცა გლეხი ამბობდა: როდემდის უნდა გაგრძელდეს მთხრობლობით ქურდობაო, კვირა არ გავა—ერთმა სოფელმა ათი და ოცი თუმანი სამთხრობლო არ გადაიხადოსო. მე კარგად ვიცი, ვინც არის ჩვენი ქურდი, მაგრამ ხელი არ მიმიწვდებაო. მთხრობელ-ქურდები კი არა გვპარავენ, ისინი არიან ქურდები, ვინც ამისთანა საქმეს ყურს არ უგდებენო, ასე რო არ იყოს, თქვენი ჭირიმეთ, განა გაბედავდა მთხრობელი შუა ბაზარში გამოჩენილიყოო. იმ დღეს ერთ კაცს უღელი კამეჩი მოჰპარეს, თუმანი გამოართვეს, გამოუჩინეს და იმავე ღამეს ისევ მოჰპარეს, მივიდნენ ისენივე და ახლა სხვა თუმანს სთხოვდნენ. განა ამას გაჰბედავენ, რომ

# ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

—

## მაშ, სამართალი სად არის?

(სურათი სოფლის ცხოვრებისა).

(დასასრული *)

მიხეილ ექვთიმეს ძე ფინიაშვილი არც ისე სასტიკი და ბოროტი იყო მართლა, როგორც მიაჩნდათ და როგორც ფიქრობდა უმრავლესობა მის საბოქაულოში. ვინც კი ახლო გაიცნობდა მიხეილს, მალე იცვლიდა აზრს და რწმუნდებოდა, რომ პირიქით მიხეილი ბუნებით მეტად მშვიდი და უწყინარი ხასიათის კაცი უნდა ყოფილიყო. თუმცა ხანდა-ხან „პრისტაულებიც“ უყვარდა, მაგრამ იქვე რომელსამე ახლო ნაცნობს მიუბრუნდებოდა და ჩუმად ყურში ეტყოდა: „ეს ასე, შესაშინებლადაო, უნდა იცოდნენ, ვისთან აქვთ საქმე და, გარდა, ამისა ჩემი ბედი თუ უბედობა იმაზეა დამოკიდებული, თუ რა თვალით შემომხედავს მთავრობაო და მთავრობას კი ლაჩარი, ორგული მოხელე ეჯავრებაო“.

ბევრი ტანჯვა-წვალება გამოსცადა საბრალო მიხეილმა, ვიდრე ბოქაულის ადგილს ეღირსებოდა. რამდენს მუხლი მოუყარა, ეხვეწა, ემუდარა და ბოლოს როგორც იყო „გაბედნიერდა“. ამ დროს მასში ისეთი საოცარი, სასწაულებრივი ცვლილება მოჰხდა, რომ ახლო მეგობარიც კი ველარ იცნობდა მიხეილს, ნიკაპის მარცხენა მხარეზე ხალი რომ არა ჰქონიყო დაჩნეული, რომელზედაც გრძელი ბალანი ჰქონდა ამოსული. ჯერ იყო და, დაგლეჯილს პიჯაკის მაგიერ, ორთავა არწივებიან ოქროს ფერ ღილებით მორთულს სერთუკით გამოიჭიმა, მხრები პაგონებით დაიმშვენა, შუბლზე კაკარდა მიიკრა, გვერდზე ხმალი ჩამოიკიდა და მის გვამს სულ სხვა ელფერი და სანახაობა მიეცა. ახლა რაც შეეხება მის სულიერ ვითარებას, აქაც დიდი ცვლილება მოჰხდა: როდესაც გამოუცხადეს, რომ თქვენ ამ მაზრის ესა და ეს ნაწილი ჩაგბარდათო, სიხარულით კინაღამ თავბრუ დაეხვა. რაღაც დიდ, ძალიან დიდ კაცად იგრძნო თავისი თავი. ერთხელ დილით, სარკის წინ რომ იდგა, ისე მოეჩვენა თითქოს უფრო გაზრდილიყო, სიმაღლე მომატებოდა, წელში გასწორდა, დოინჯი შემოიყარა, სასტიკი სახე მიიღო და ოთახში მედიდურად ბოლთის ცემა დაიწყო. რა უმნიშვნელო პაწაწა არსებათ ეჩვენებოდნენ ადამიანები! რაღაც ქონდრის კაცებად გადაიქცნენ, რომელთაც სათითაოდ თუნდ ხელის გულზე დაიტევდა, წინად, როდესაც გზაში ვისმეს შეხვდებოდა და სალამს აძლევდა, და ისინიც ქუდს უხდიდნენ, ეს ასე, უბრალო ჩვეულებად მიაჩნდა და არც არავითარს უპირატესობას არ ჰგრძნობდა სხვებზე; ახლა კი სალამის მიუცემლობას დიდ დანაშაულობად ჩაუთვლიდა ყველას და, უფრო მეტი უფლება რომ ჰქონდა ადამიანზე, იქნება დაესაჯა კიდეც ამ «საბრიყვისათვის».

მაგრამ ერთი დრო ხომ არავის შერჩება ამ ქვეყნადა! ყველაფერი წარმავალია, ცვალებადი და ამ კანონს მიხეილიც უნებურად დაემორჩილა. დიდხანს არ გასტანა ასეთმა მედიდურებამ და თავის თავის შესახებ ცრუ-წარმოდგენამ. მალე შეეჩვია ახალს მდგომარეობას, თითქმის მოსწყინდა, შესძულდა კიდეც თავისი ხელობა და, თუ მაინც და მაინც თავს არ ანებებდა სამსახურს, ეგეც იმიტომ, რომ გარემოება ნებას არ აძლევდა.

შეიქმნა უბრალო მოხელეთ მთავრობის ერთგულ მოსამსახურეთ, ე. ი. ასრულებდა იმას, რასაც უბრძანებდნენ, და არასოდეს საწინააღმდეგოს არას გაბედავდა თუ ხან-და-ხან სიმართლის სასწორს უმართლობისაკენ გადახრიდა, ეგეც ისე, უნებლიედ მოსდიოდა. „სხვაფრივ არ მოხერხდებაო“. თავადის შვილებისა და საზოგადოდ ამ ქვეყნის რჩეულთა წინაშე მოწიწებით და მოკრძალებით იქცეოდა, ერიდებოდა მათ წყენას. ეს მათდამი სიყვარულით და პატივის ცემით კი არ მოსდიოდა, არამედ შიშობდა, ერთ რამე ხათაბალას არ გადამკიდონო.

მთავრობას ყოველი მისი ხასიათი აწონილ-დაწონილი ჰქონდა, სარგებლობდა მის გულკეთილობით და იმოდენა საქმეებს ახვევდა თავზე, რომ ერთი წუთი მოსვენებაც აღარ ეძლეოდა საბრალო მიხეილს.

აი ეხლაც თავის საწერ მაგიდასთან იჯდა, ქ. საზოგადოების მამასახლისს რაღაც ბრძანებასა სწერდა. მის კანცელარიის წინ ათას გვარ მომჩივანს მოეყარა თავი, სამართალს ელოდა; ყველას თავისი საკუთარი დარდი და ვარამი აწუხებდა, მაგრამ ლაპარაკის დროს ამის შესახებ თითქმის ხმა არავის ამოუღია და უფრო სხვა საერთო საჭირ-ბოროტო საგანზედ ჰქონდათ საუბარი.

არ არის ქვეყნად ისეთი ადამიანი, რომ რაიმე დარდი, მწუხარება არა ჰქონდეს; მაგრამ ეს მწუხარება ხშირად ავიწყდება როდესაც მარტო არ არის და ხალხში იმყოფება; ამ დროს იგი თითქოს ერთს რასმე მთელს, ერთეულ კი აღარ წარმოადგენს თავის პიროვნებით, არამედ ნაწილი ჰხდება ერთის უდიდესის ორგანიზმისა, რომლის დარდსა და ვარამში ფვითეული, პიროვნული გრძნობა ისე იკარგება და ჰქრება, როგორც მცირე რამ შუქი დღის სინათლეში.

ყველაზე მეტ ყურადღებას იზიდავდა ერთი იმერელი ჩერქეზულს ტანისამოსით კოხტად გამოწყობილი, რომელიც ბოქაულის მიერ რაღაც საქმეზე იყო მოწვეულად დაბარებული. ჯგუფის შუაში იდგა

მთხრობელ-ქურდების ყურის მგდებელი იყოს ვინმე? არ ვიცი, არ ვიცი, როდემდის გასტანს მთხრობელ-ქურდობაო, ისიკი ვიცი, რომ უკუღმა დატრიალდა ცხოვრებაო.

უნდა დავუმატოთ, რომ ყოველ დღე ისმის მთხრობლობით დანაკარგვის დაბრუნება. ყველამ იცის, ვინც არის ქურდი, მაგრამ მომჩენი არავინაა.

ნადიკვრელი.

—

**ფოთი.** კვლავ გვეწვია ფოთელებს ბ-ნ პერვილის ცირკი და გახშირდა ფერად-ფერად განცხადების აკვრა კედლებზედ და ბოძებზედ. ახლა, რა თქმა უნდა, როგორც ყველგან, ფოთშიც დიდი კრიზისი არის და აქაურნი—მკვიდრი თუ ჩამოსულნი მცხოვრებნი - ძლიერ ქესატად ბრძანდებიან. მაგრამ მაინც ბედმა ცირკს ვერ უღალატა: ბ-ნი პერვილი უმთავრეს ყურადღებას ჭიდაობას აქცევს. იცის და, როგორ გააბას ობობამ ბუზი ქსელში! დაღამდება თუ არა და დაუკრავენ პირველად მუსიკას, თუ სადმე პოლიციის მოხელე არის, ცირკისკენ მიეშურება. ცირკის წინ, ქუჩაზედ, არის გამართული სეირნობა და გაუთავებელი არშიყობა, ბავშვები და მოსწავლენიც კი ფუტკარივით უვლიან გარშემო ცირკს. პოლიციის ზოგიერთი უგულო მოხელეც, ვითომდა «მშვიდობიანობის დასაცველად» მიერეკება ბავშვებს და ურტყავს ცხვირსა და პირში. ერთი ამისთანა მაგალითი იყო, სხვათა-შორის, 25 ამ თვეს, როდესაც პოლიციელი, ჩვეულებრივ, ბავშვებს გამოჰკიდებოდა; ერთს მოსწავლეს, 10—12 წლისას, ვერ გამოესწრო; პოლიციელი მოსწეოდა და ერთი ორი ისეთი მუშტი ჩაერტყა ცხვირში, რომ ბავშვს სისხლი თქრიალით გადმოსდიოდა.

მეზობელი.

# უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** ვალდეკ-რუსოსათვის ძეგლის ასაგებად „რესპუბლიკელ დემოკრატთა კავშირმა“ გამართა ხელის მოწერა. დღემდე კავშირს შეუგროვებია 24,600 ფრანკი. ჯერ კიდევ აგროვებენ ფულს ამ საქმისათვის.

— გასულ კვირაში ტროკადეროში მოახდინეს კრება საღამო გაჰმართეს ემილ-ზოლას პატივსაცემლად, მის გარდაცვალების წლის თავზედ. საღამოს გამართვა იკისრა «კაცობრიულ უფლებათა ლიგამ».

კრებას თავმჯდომარეობდა სოციალისტი დეპუტატი პრესანსე, რომელმაც წარმოსთქვა სიტყვა ემილ ზოლასა და დრეიფუსის საქმის შესახებ. კრებაზედ წაიკითხეს აგრეთვე ანატოლი ფრანსის წერილი, რომელიც თხოულობდა სამხედრო სასამართლოების გაუქმებას. ანატოლი ფრანსი წინადადებას აძლევდა კრებას აგრეთვე, რომ „du Palais“ ის ბულვარს ზოლას ბულვარი დაერქვასო. ლუი მორემაც წარმოსთქვა სიტყვა და განაცხადა, თუ რა შედეგი მოჰყვა ცნობილ წერილის „J'accuse“-ს დაბეჭდვას. საღამო დამთავრდა ლიტერატურულ-მუსიკალურის განყოფილებით, რომელშიაც წაიკითხეს ზოლას ნაწარმოებიდგან რამდენიმე ნაწყვეტი.

—

**შეერთებული შტატები.** ოქროს ვალიუტის მომხრე სოციალ-დემოკრატთა კომიტეტმა, რომელიც ბრაიანის პრეზიდენტად არჩევის დროს სხვა და სხვა ჯგუფთა ბრძოლაში განშორდა თავისს დასს, ეხლა თვისი საარჩევნო ფონდი და გადასცა ნაციონალურ დემოკრატიულ კომიტეტს. ამ გვარად, ეს ორი კომიტეტი შეერთდა და თავიანთ კანდიდატად აირჩიეს დემოკრატი პარკერი. როგორც გაზ. «სტანდარტ»-ის ნიუ-იორკელი კორესპონდენტი იუწყება, თუ პრეზიდენტად ისევ რუზველტი იქმნა არჩეული, სახელმწიფო მდივნის (გარეშე საქმეთა სამინისტროს) პორტფელი ისევ სტატს-სეკრეტარ გეის შერჩება.

რუზველტს თითქმის იმედი დაკარგული აქვს პრეზიდენტად ხელახლად არჩევისა. ამის გამო რესპუბლიკელებმა განიზრახეს დააარსონ დიდი სააქციონერო გაზეთი, სათაურით «შეერთებული შტატები». ამ გაზეთს რედაქტორის მაგივრად ეყოლება პრეზიდენტი. რესპუბლიკელებს სურთ, რომ რუზველტს პრეზიდენტის წოდება არ დაეკარგოს და გადაწყვეტილი აქვთ, თუ რუზველტი არ იქმნა არჩეული, ამ გაზეთის პრეზიდენტად დანიშნონ იგი.

— რესპუბლიკელთა ნაციონალურმა კომიტეტმა მიანდო ზანგის ქალს ქ-ნ მასონს კრების გამართვა და სიტყვების წარმოთქმა რუზველტის კანდიდატურის სასარგებლოდ კოლორადოსა, იდაგოსა, უტასა და მონტანის შტატებში. ქ-ნმა მასონმა უკვე გამართა რამდენიმე მიტინგი და ყველგან წარმოსთქვა სიტყვები, რასაც დიდის ამბით მიეგებნენ.

— ნიუ-იორკიდან «ფრანკფურტერ ცაიტუნგს» დეპეშით ატყობინებენ: ამ უკანასკნელ დღეებში პარკერს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა დემოკრატთა დასის რადიკალურ ნაწილის წარმომადგენლებთან. პარკერი განსაკუთრებით სცდილობს დააკმაყოფილოს ცნობილი გამომცემელი გაზეთისა ხერსტი და კიდევ განზრახვა აქვს მოუპოვოს ამ უკანასკნელს კონგრესში ადგილი, თუმცა თამანიმ ერთხელ უარი უთხრა ამაზედ პარკერს.

### ნარევ-ნაკევს გასართობი.

გაკვრით.

ერთმა ახლად გამოჩეკილმა quasi-კრიტიკოსმა დაიწუნა ისეთი სახელგანთქმული პოეტი, რომელსაც არა თუ მარტო ქართველობა, არამედ მსოფლიო ლიტერატურაც კი იცნობს; კრიტიკოსმა ბრძანა თავის პამფლეტში, ეს პოეტი პირველ ორ წელიწადს კარგ ლექსებსა სწერდა, მერე-კი სულ ერთსა და იმასვე იმეორებს, განვითარება არ ეტყობაო. პოეტს გაუკვირდა ასეთი გულახდილობა, თავი გაიქნია და სთქვა: აგერ ორმოცდაათი წელიწადი ლექსებსა ვწერ და ჯერ ეს არავის არ უთქვამს ჩემთვისაო. „კრიტიკის“ კითხვა პოეტმა რომ გაათავა, ბოლოში ასეთი კუპლეტი წააწერა:

«სულით მანკი,
გულით—ჟანგი,
ტვინით—ბანგი,
ტანით—ზანგი!
ღმერთმა ერთად შეურცხვინოს
კალამი და მისი ჩანგი»?..

ნეტა როგორ მოეწონება ეს მოკლე ეპიგრამა მეტი ჩარა კრიტიკოსს, ჰა? უნიჭობისა და განუვითარებლობაში ხომ არ ჩამოართმევს?? თუ ესეც ერთი და იმავე ჰანგის განმეორებაა?!

ირტახდ.

# თეატრი და ხელოვნება

—

**ავჭალის სახალხო თეატრში** შაბატს, 25 სეკდემბერს სცენის მოყვარულთა მიერ, ქ-ნ გაბუნია ცაგარლისა და ბ-ნ ივანიძის დახმარებით, გამართულ იქმნა პირველი წარმოდგენა ამ სეზონში. წარმოადგინეს ოსტროვსკის ხუთ მოქმედებიანი კომედია «შემოსავლიანი ადგილი». პიესა გაჰიანურებულია, მოსაწყენი, ბევრი ადგილები კი კომედიისა სულ ჩამოაშებულია მაყურებელთა გასაცინებლად.. ორიოდ სამის მოქმედების მასალა ხუთ მოქმედებად არის გაბრტყელებული.

პიესა ვერ არის კარგის ენით ნათარგმნი. მთარგმნელს, ა. ცაგარელს ეტყობა საჩქაროდ გადუთარგმნია ეს პიესა.. ბევრი ადგილები გაუგებარიც იყო თარგმანის წყალობით. წარმოდგენამ ვერ ჩაიარა სანაქებოდ, რაც იმით აიხსნება, რომ სცენის მოყვარულთ ცოტა დრო ჰქონიათ... მოთამაშეთაგან ერჩეოდა მხოლოდ ნიკო გოცირიძე, რომელმაც ფრიად ნიჭიერად შეასრულა ჩინოვნიკის აკიმ აკიმიჩის როლი... შესაფერის მიხვრა-მოხვრით, სახის მრავალი მეტყველებით და დაფიქრებულის თამაშობით ძლიერს შთაბეჭდილებას სტოვებდა მაყურებელთა შორის.. ამ მსახიობის გარდა ყურადღება მიიქცია ქ-ნმა ა. ქქოძემ (პოლინა): დიდის სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ქალს სცენის ნიჭი ეტყობა და დარწმუნებული ვართ მოკლე ხანში ფრიად სასარგებლო მსახიობი შეიქმნება, თუ ამ საქმეს გულით მოეკიდა.. ამ საღამოს ბევრგან ნიჭიერად ითამაშა, მაგრამ, საერთოდ, ეტყობოდა გამოუცდელობა: ეს მეორედ გამოვიდა სცენაზედ.

ა—ხა.

**ოპერა.** სამშაბათს, 28 სეკდემბერს, სახაზინო თეატრში წარმოადგინეს «კარმენი», ოპერა 4 მოქმედ.. მუსიკა ბიზესი (ამ ოპერის სიუჟეტი აღებულია პროსპერ მერიმეს მოთხრობიდგან მელიაკისა და გალევის-მიერ). უმთავრესს პარტის (კარმენ) ასრულებდა ქ-ნი შიხუცკაია-მინჩენკო და უნდა ითქვას, რომ კარგადაც შეასრულა, როგორც სიმღერით, ისე თამაშობითაც. ყოველი მიხვრა-მოხვრა, ყოველი სახის გამომეტყველება გათვალისწინებული ჰქონდა ქ-ნ შიხუცკაიას და დირიჟორის წკეპლას არ შესჩერებოდა, როგორც ზოგიერთებს, სჩვეულიათ ხოლმე. განსაკუთრებულის ხელოვნებით იმღერა პირველ მოქმედებაში საყვარლოსთან არია: «Меня не любишь, но люблю я, такъ берегись любви моей»!, რაც საზოგადოებამ გაამეორებინა.

ბ-ნ ლ. დ. დონსკოის ნ. ნ. ფიგნერზედ ძლიერი ტენორი აქვს და მაღალ რეგისტრებში ნოტის აღება და ერთბაშად შეწყვეტა არ უჭირდება. როგორც თამაშობით, ისე სიმღერითაც ბ-ნმა დონსკოიმ საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა თავიდგან ბოლომდე. განსაკუთრებით საუცხოვოდ ჩაატარა მეოთხე მოქმედების უკანასკნელი სცენა, სადაც კარმენი ცირკისაკენ მიისწრაფვის. ქ-ნი ეიხენვალდ-დონსკოის უცბად ავადმყოფობის გამო მიქაელას პარტიას ასრულებდა ქ-ნი ანტონოვისა, რომელმაც სავსებით ვერ დაგვაკმაყოფილა, მაგრამ მაინც არ გაიმტყუნება, რადგანაც, როგორცა სჩანდა, მოუმზადებლად გამოვიდა სცენაზედ ეიხენვალდ-დონსკოის მაგივრად.

ესკამილიოს ტორეადორის პარტიას ასრულებდა ბ-ნი ობრაზცოვი, რომელსაც, როგორც წინადაც აღვნიშნეთ, პატარა, მაგრამ ტკბილი, ტენორი აქვს და ამ საღამოს მაღალ ხელოვნებით ჩაატარა მისდამი მინდობილი პარტია. ბალეტი და ხორო რიგიანი იყო, ხოლო ორკესტრს კი აკლდა დირიჟორის ხელმძღვანელობა. ბ-ნი ნ. მიკლაშევსკი ჯერ ახალგაზდა და გამოუცდელი დირიჟორია, ბიზეს მუსიკა კი იმდენად რთულია და მელოდიებით სავსე, რომ გამოცდილისა და დახელოვნებულის დირიჟორის ხელმძღვანელობა სჭირია. ამას ბ-ნმა ლონსკოიმ უნდა მიაქციოს ყურადღება. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ბ-ნ დონსკოის არც ისე სუსტი დასი ჰყავს, როგორც ზოგიერთ გაზეთებში იყო მოხსენებული.

წარმოდგენას საზოგადოება ბევრი დაესწრო.

ქუჩუა.

### „ივერიის“ ფოსტა“

—

**კ. ნოდიას.** თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.
**ნ—ლს.** უკვე დაიბეჭდა.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

30 სეკდემბერი.

**ტოკიო.** (რეიტერი). შტაბი უმთავრესის ბანაკისა არ ამბობს, თუ რა ხდება ლიაოიანსა და მუკდენს შუა. როგორც ეტყობა ხალხს გუნებაზე და როგორც ისმის აქეთ-იქიდგან, იაპონელებს ესიამოვნათ, რომ რუსნი სატევ მოქმედებას უნდა შეუდგნენ.

**ლონდონი.** (რეიტერი). ოქუს ლაშქრიდან ფუზანით გამოგზავნილ უთარიღო წერილით იუწყებიან, დილით დაიწყო ზედ მისევა მუკდენზეო. ოიამამ შეატყო თუ არა, რომ რუსების მარცხენა ფრთიისათვის ჯარი მიუშველებიათ იანტაის ჩრდილოეთად 5 მილზე, უბძანა წინ წაწევა. ოქუს ლაშქარმა წაიწია წინ ჩრდილოეთისაკენ ორ-სამ მილზე, ამას მოჰყვა არტილერია. რუსებმა ზარბაზნების სროლა დაიწყეს, იაპონელებმაც პასუხი გასცეს. არტილერიის ბრძოლა მთელი დღე გაგრძელდა, მაგრამ შედეგი არა მოჰყოლიარა. ქვეითი ჯარი იმ დღეს საღამოს მაინც წინ იწევდა. — იაპონიის მისსია იუწყება, რომ იაპონიის გემმა «შარატაკამ» 18 სეკდემბერს შეიპყრო გემი «ფუშანი», რომელსაც დიდძალი კონტრაბანდის შეტანა სურდა პორტ-არტურში.

**ტოკიო.** (რეიტერი). მთელი გუშინდელი დღე ბრძოლა განუწყვეტლივ მძვინვარებდა ბინდამდის, დღესაც ბრძოლაა, მაგრამ ჯერ გადაწყვეტით არა ითქმის-რა. რუსებმა დიდძალს ჯარს მოუყარეს თავი იაპონელთა მარჯვენა ფრთისაკენ თაიცეხის მხრიდან, მაგრამ ფიქრობენ, იაპონელებმა ეს მოძრაობა შეაჩერებინესო.

**ბელგრადი.** მეფემ ხელმწიფე იმპერატორისაგან მიიღო მირონცხების გამო შემდეგი დეპეშა: „დღესა იმ წესის შესრულებისასა, რომელიც სადმთო კავშირით გაერთებთ თქვენს ხალხთან, მეც მსურს ლოცვით შემოგიერთდეთ თქვენ. გარდმოავლინოსცა უფალმან ღმერთმან კურთხევა მეფეზე, რომელსაც უნდა მირონცხოს, და სერბიაზე, რომლის სვე-ბედი მას აბარია“.— მეფეს ერთობ გულს დააჩნდა, პასუხი გაუგზავნა, და იგონებს ამ დღეს ყველა იმ სიკეთეს რაც სერბიას უყო ხელმწიფე იმპერატორმა და რუსეთმა. ხელმწიფის დეპეშამ დიდი მხიარულება გამოიწვია, რაკა დღესასწაულს კერძო ხასიათი აქვს და უმაღლეს პირთაგან არ მოელოდენ მოლოცვასა.

**ჩიფუ.** (რეიტერი). დალნიდან მოსული იაპონელნი ამბობენ, ეხლა იაპონელნი ესვრიან პორტ-არტურის ნავსადგურს დიდის საალყე ზარბაზნებიდგან. ამ დღეებში «რეტვიზანი» დააზიანა ყუმბარამ. ერთად-ერთი მარცხი, რომელიც იაპონელებს დაემართათ, იმაში მდგომარეობს, რომ იმათ რუსებმა უკან დაახევინეს მაღალ მთასთან. იაპონელნი ამტკიცებენ, რომ იმათ შემუსრეს ორი სიმაგრე, რომლიდანაც საშინელ ცეცხლს ასტეხდნენ რუსები იმათ წინააღმდეგ ერლუშანზე წასვლის დროს, ისინივე ამბობენ, იმათ ხელშივეა ისევ ის ექვსი სიმაგრე, რომელიც აიღეს შუიშინის სამხრეთად.

**ტოკიო.** ოფიციალურად იუწყებიან, მთავრობამ გადასწყვიტა 80 მილიონ იენის სესხის გამოცემა.

**პეტერბურგი.** შორეულ აღმოსავლეთიდან 29 სეკდემბერს ოფიციალური ცნობები არ მოსულა.—ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ბრძანა მადლობა გამოეცხადოს ესტლიანდიის გუბერნატორს ჩინებული წესისათვის ქუჩებში მათი უდიდებულესობით ყოფნის დროს.— „მართებლ. მოამ.“-ში დაბეჭდილია: 21—27-დე კასპიის იქითა მხარეს ხოლერით ავად არავინ გამხდარა. უკანასკნელად 19 სეკდემბერს ხოლერა შენიშნეს მერვში; ავად გახდა ერთი სამხედრო და ერთიც სამოქალაქო მოხელე. ლუშაკისა და კიზილ არვატის სადგურებზე 20 სეკდემბერს ავად გახდა ორი. ბაქოში ხოლერა კლებულობს; 21-დან 28 სეკდემბრამდე ავად გახდა 80 და მოკვდა 53.—22 სეკდემბერს ბაქოდან განჯის გზით მიმავალ მგზავრთა მატარებელში ორი ავადმყოფი აღმოაჩინეს. სარატოვში ახლად აღარავინ გამხდარა ხოლერით ავადა.— დასახლებულ ადგილებ გარდა საეჭვო შემთხვევები შენიშნეს სოფელ რახანკას, ასტრახნის გუბერნიაში, და ქალაქ სამარაში. სოფელ რახთანკაში ფარაღათობით ავად გახდა 14-დან 26 სეკდემბრამდე 12 კაცი, იმათგან 5 მოკვდა. გამოკვლევამ ეს სენი ხოლერას დაამსგავსა.

**ტოკიო.** (რეიტერი). საზოგადო წინ წაწევა იაპონელთა მუკდენისაკენ ისევ არის დიდი ბრძოლა ძალიან მალე მოხდებაო. რუსის ერთი ბრიგადა და ორი ათასი ცხენოსანი ორის ზარბაზნითა, წავიდენ კუროკის წინააღმდეგ და 26 სეკდემბერს თაიციხეს გადავიდნენ. —რუსები თავს ესხმიან ციანჯინს ჩრდილო-აღმოსავლეთად საიმაძიდან იმ აზრით, რომ იაპონელებს იაულსაკენ წასასვლელი გზა გადაუჭრან.—

---

და თავ-მოწონებით უამბობდა გლეხებს რუს-იაპონიის ომის ამბავს; თუმცა ზოგიერთს არც კი ესმოდა რაზე ლაპარაკობდა, რადგანაც ვერ წარმოედგინა, სად უნდა ყოფილიყო ეს იაპონია, ან რა ხალხია ეს იაპონელები.

— თუ ღმერთი გრწამს, ძმობილო, ერთი მითხარი, რა მილეთისა და რჯულის ხალხია, ან სად არის ეს იაპონიაა თუ რაღაც ჯანაბა?—შეეკითხა იმერელს ერთი გლეხთაგანი.—ისინიც ჩვენისთანა ადამიანები არიან?

— აპა, ჯორები ხომ არ არიან?! ამ ხმელეთის იქით უშველებელი, თვალ-გადუწვდენელი ზღვაა და ამ ზღვაში ერთი კუნძულია; აი ამ კუნძულზე ცხოვრობენ იაპონელები.

ამ დროს ყველას ყურადღება ერთმა ახლად მოსულმა ახალგაზრდა გლეხმა მიიპყრო, რომელიც უცებ გამოვიდა და ჩაფარს ხმა-მაღლა ჰკითხა: «პრისტავი შინა ბრძანდება?». თავი წითელი ხელსახოცით ჰქონდა შეხვეული, გახშირებული სუნთქვა ჰქონდა და ეტყობოდა, რომ ძალიან აღელვებული უნდა ყოფილიყო. ვიდრე ჩაფარი პასუხს მისცემდა, თითონვე დარწმუნდა, რომ ბოქაული შინ უნდა ყოფილიყო, რადგან აქვე ხალხის გროვა დაინახა და ცოტა დამშვიდდა.

ყველამ ლაპარაკს თავი დაანება, ახალ მოსულს შემოეხვია გარშემო და ცნობის მოყვარეობით ეკითხებოდნენ: «რა იყო, რა ამბავი იყო»?

— ის მე ვიცი, რაც ამბავია, აი ეხლა თქვენ თითონ გაიგებთ.

ამ იდუმალობამ უფრო და უფრო აღძრა ხალხში სურვილი ამბის გაგებისა და მოუთმენლად ელოდა ბოქაულის გამოსვლას.

ბევრი ხანი აღარ გასულა და ბოქაულიც გამოჩნდა აივანზე. ხალხი ერთად შეჯგუფდა, ქუდები მოიხადეს და თავაღებული უცნაურად ხელებ დაჰიმულნი შესცქეროდა ბოქაულს. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

ამ დროს ნიკო წადგა წინ და გაბედვით მოახსენა: «ბატონმა გამლახაო», თან შუბლზე ხელსახოცი აიწია და ჭრილობა აჩვენა.

ბოქაულს ჭრილობის დანახვაზე ცოტა სახე დაეღმიჭა, მაგრამ მალე მშვიდობიანი სახე მიიღო, პირიდგან პაპიროსის ბოლი გამოუშვა და ოდნავის ღიმილით ჰკითხა:

— რა იყო, რათ გაგლახა?

აქ ნიკომ უამბო საქმის გარემოება. ხალხი გაფაციცებით უგდებდა ყურს. როდესაც ნიკომ ლაპარაკი გაათავა, ყასამბა უცებ წამოიძახა:— ვა, კაცო, მე მეგონა თუ ერთი რამ უბედურება მოხდა მეთქი!

— როგორ, ის ხომ არ გინდოდა, რომ იქვე ფეხები გეფშიკა,—მიუგო იმერელმა.

— ეგ ხორცის კეპას დაჩვეულია და არც მაგას ჩააგდებდა რათმე,—მოისმა მეორე ხმა ხალხიდგან.

— გაჩუმდით, რასა ყაყანებთ!—დაუყვირა ბოქაულმა. მერე ნიკოს მიუბრუნდა და უთხრა.—გასწი, აქედგან დაიკარგე და მეორედ აღარ გაბედო მაგისთანა საჩივრით ჩემთან მოსვლა.

ნიკოს თითქოს არა სჯეროდა, რომ ეს სიტყვები ნამდვილად მოესმა მის ყურს, გაოცებით დაუწყო ყურება ბოქაულს, თითქოს გაშეშდა, გაქვავდაო; მერე დაბნეულსავით აქეთ-იქით ხალხს გადახედა, ყველას სათითაოდ აჩერდებოდა და თითქოს ეკითხებოდა: «მაშ, სამართალი სად არის»? მაგრამ ყველას სახეზე გულგრილობისა და ტუტუცურ გამომეტყველების მეტი ვერა ამოიკითხა-რა. მარტო იმერელს ემჩნეოდა მოუსვენრობა და, უკმაყოფილების ნიშნად, თვალებს აბრიალებდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ულვაშს იგრეხდა.

— არა, ასე არ იქნება,—გაიფიქრა ნიკომ. იქნება კარგად ვერ შევასმინე, ვერ გავაგებინე ბოქაულსაო და კიდევ განუმეორა:

— ბატონო, სრულიად უმიზეზოთ გამლახა, დამასახიჩრა!

— გაეთერი მეთქი აქედგან!.. ბატონს კარგათ ემსახურე და აღარ გაგლახავს.

ეხლა კი ყველაფერი ცხადი, ეჭვს გარეშე იყო.

გაიგო, დარწმუნდა ნიკო, რომ საშველი აღარაფერი რჩებოდა-რა. მუხლებმა კანკალი დაუწყო, სახე გაუფითრდა და აღარ იცოდა, რა ექნა,—დარჩენილიყო იქვე, თუ ასე სირცხვილ ნაჭამი სახლში დაბრუნებულიყო. პატარას ხანს კიდევ იყო ასე ერთს ალაგს უძრავად გაჩერებული, ამ ჟამად ის თავის გალახვაზე აღარ ფიქრობდა, ეხლა სულ სხვა დარდი და ვარამი აწვებოდა გულზე. სირცხვილი, განუსაზღვრელი სირცხვილი სწვამდა გულს. როგორ, რანაირად უნდა მისულიყო შინ, იმედ გაცრუებული. ქვეყანა ხომ მასხარად, სასაცილოდ აიგდებდა. რაღა იყო ნიკო? აღარაფერი. ფეხით გასრისეს მისი თავმოყვარეობა, პირში შეაფურთხეს და თავისავე ენით აალოკინეს.

— მაშ, სამართალი სად არის?!—თითქმის ხმა მაღლა წამოიძახა ნიკომ... უცებ რაღაც აზრმა გაურბინა თავში და ფეხაჩქარებით სახლისკენ გამოსწია.

ლუთ.

ოიამა დეპეშით იწყება, ბრძოლა დაიწყო 27 სეკდემბერს მთელს ფრონტზე. ციანჯანზე მიტანილი რუსთა იერიში იაპონელებმა მოიგერეს.

**ტოკიო**, 29 სეკდემბერს. (რეიტერი) გამოცხადებულია რამდენიმე მოხსენება, ბრძოლის მიმდინარეობის შესახები 27 სეკდემაერს. უკანასკნელი ბრძოლა, ბევრგან მეტად ცხარე, უფრო გამძვინვარებული იყო ბენსიხუს მიდამოაა შორის, საცა რუსები ტაიძიხეს მდინარეში გავიდნენ და საცა იაპონელები სცდილობდნენ ჩუმად ჩასაფრებოდნენ. 28 სეკდემბერს ღამე ჩვენმა ჯარმა მოახერხა და დაიჭირა ბენსიხუ- აღმოსავლეთი მხარე. რუსთა არტილერიას უჭირავს მთელი ზოლი სამარის ადგილისა. შუაგულ ადგილს ბრძოლა განუწყვეტელია. რუსებს მაშველი ჯარი მოსდით. ჩვენი ჯარები იცავენ თავიანთ პოზიციებს. შუა-გულ ლაშქრის მარჯვენა ფრთამ დაიჭირა მაღლობნი იამენძუს აღმოსავლეთად. მარცხენა ფრთამ მიაღწია მაღლობებს და იერიშით შეუტია რუსებს ულიტაიძისთან, მაგრამ ვერ შესძლო მათი შერყევა. მარცხენა ლაშქრის მარჯვენა ფრთა კიუჩენძის არის და მოქმედობს შუა-გულ ჯარის მარცხენა ფრთასთან ერთად. ჩვენმა შუა ჯარმა შეუტია რუსებს და აიძულა დაეტოვებინათ თავიანთი სიმაგრენი. მარცხენა ფრთამ განაგრძო ზედ-მისევა.

**ლონდონი**, 30 სეკდ. (რეიტერი) იაპონელთა მისსიამ გამოაცხადა შემდეგი მოხსენება ოიამასი: რუსნი მოქმედობენ ჩვენის მარჯვენა ლაშქრის შუბლ წინა 26 სეკდემბრიდან. რუსთა ჯარის ერთი ბრიგადა და 2,000 ცხენოსანი ორის ზარბაზნით გავიდა ტაიძიხეში და გადაგვიჭრა საკომუნიკაციო გზა (უკან დახევისა), რომელიც ბოლოს აღდგენილ იქმნა. რუსნი ჩვენის შუა-გულ ჯარის წინაცა სდგანან ერთ დივიზიამდე მუკდენსა და ლიაოიანს შუა მანძილზედ. რამდენმამე რაზმმა სამხრეთად წამოიწია. ბრძოლა ძლიერდება ყველგან.

**პეტერბურგი**. გენ.-ლეიტ. სახაროვის დეპეშა მთავარ-შტაბს 28 სეკდემბერს: 27 და 28 სეკდემბერს ჩვენი ჯარები ამაგრებდნენ თავიანთ სანგრებს იმ ადგილებში, რომელიც წინა დღეს დავიჭირეთ მდინარე შახედან სამხრეთად 8 ვერსის მანძილზედ. 27 სეკდ. მტერმა შემოგვიტია ქვეითის ჯარის ერთის დივიზიითა და რამდენისამე ბატარეით. ჩვენც პასუხი გავეცით. მტერი შესდგა, თუმცა საღამომდე მედგრად ისროდა ზარბაზნებს. 28 სეკდემბერს მოგვეტივნენ რკინის გზის ორივ მხრიდან და იანთაის მღვიმემაღაროების ჩრდილოეთად. მთელს დღეს გაცხარებული ომი იყო. ბევრი პოზიცია მტრისა ჩვენ ჩაგვივარდა ხელში, ხოლო რომელიც უფრო მაღალი ადგილია ტყით შემოსილი სერი—ნაშუადღევის 5 საათამდე ვერ იქმნა კიდევ აღებული: ჩვენმა ჯარებმა შეინარჩუნეს ყველა პოზიცია, ზოგიერთს გარდა, საიდანაც ჯარი მთავარ პოზიციებზე დავაბრუნეთ.

---

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე**.
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი**.

---

## გამოსადეგი ცნობანი:

### პეტერბურგის ბირჟა

24 სეკდემბერს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. . . . . | 93,90 |
| ბერლინში 100 მარკაში . . . . | — |
| პარიჟში 100 ფრანკში . . . . . | 39,32½ |
| ლონდონში ჩეკები . . . . . . | 94,40 |
| ბერლინში „ . . . . . . . | 46,30 |
| პარიჟში „ . . . . . . . . | 37,52½ |
| ბირჟის დისკონტი. . . . . . . | 6—7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა . . . | 91⅞ ნ. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. . . . . | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა . . . | 89¼ წვ. გაყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 423 წ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . . | 332 წ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | 275 წ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. . . . . . | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. . . . . | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . . | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა. . . . . . . | — |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . . | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |

---

### საავადმყოფოები:

**ქალაქის სახაზინო საავადმყოფო**,—მიხეილის ქუჩა, სახაზინო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

**ქალაქის სამკურნალო**—მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა უფასოა. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვიჩი

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:**

**ავლაბრისა**.—კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტეროვისა. გამგე ექიმი ი. იგიტიანცი.

**კუკიისა**—ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი კ. გძელიშვილი.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

**თვალების სამკურნალო**—კრილოვისა და ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე, სახლი ლიბერმანისა, № 15 (ლიბერმანის სტამბის ზემო სართულში). ავადმყოფთ უფასოდ აძლევენ რჩევას. სამკურნალოს გამგე-დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი ექიმი ქალი პუტიატა.

**ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის**—უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე. ბარონ ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

**სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის** საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი, თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

**გადამდებ სენით ავადმყოფთათვის** უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

**ქალაქის უფასო ღამის თავშე-საფარი სახლები:**

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

---

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

ამ წლის 18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.)

#### ა) ტფილისიდან მიდის:

**ბაქოს**: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23. წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 9 ს. 10 წ. (10 ს. 8 წ.).

**ბათუმს**: 1) სწრაფი № 1 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 1 ს. 24 წ. (12 ს. 22 წ.) 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.)

**ერევანსა და ყარსს**: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 31 წ. (3 ს. 29 წ.).

**ბორჯომს**: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 8 ს. (8 ს. 58 წ.).

#### ტფილისში მოდის:

**ბაქოდან**: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 2 წ. (3 ს.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 52 წ. (6 ს 50 წ.); საქონ. სამგზ. № 17 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.).

**ბათუმიდან**: 1) წრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.), საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.); სამგზავრო № 6 საღამოს 10 ს. 35 წ. (11 ს. 33 წ.).

**ერევან-ყარსიდან**: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 47 წ. (4 ს. 45წ.).

**ბორჯომიდან**: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს 18 წ.); სამგზავრო 9/10 საღამოს 9 ს 9 წ. (10 ს. 7 წ.).

#### ბ) ბაქოდან გამოდის:

**ტფილის-ბათუმისაკენ**: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 12 ს. 53 წ. (1 ს. 51 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 37 წ. (7 ს. 35 წ.); 3) სამგზ. № 5. შუადღის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 საღამოს 1 ს. 10 წ. (2 ს. 8 წ.)

#### გ) ბათუმიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ**: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 9 ს. 6 წ. (6 ს. 4 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 5 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.).

#### დ) ქუთაისიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ**: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 3) დილის 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.).

**ბათუმისაკენ**: 1) ღამის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 2) საღამოს 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.); 3) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

**ზორაპნამდე**: № 45/44 ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

---


# განცხადებანი

ქ უ თ ა ი ს შ ი
ს. ბ. თოფურიას
**სამკურნალოში**,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიური გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.



**მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი**
„ოდობრინი“ მ. კ. ლებედევის“

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცსძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და ის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში. (0—6—14)



რ ო ი ა ი ლ ე ბ ი პ ი ა ნ ი ნ ო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.



ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პ რ ე ი ს კ უ რ ა ნ ტ ე ბ ი
მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა.

**ბ. მ. მირიმანიანისა.**
**МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО**
**Б. М. МИРИМАНІАНЪ**
Тифлисъ, Дворцовая ул.
(25—6—15)

---

**ქართველ ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში** დაიწყო მუშაობა. მიიღებენ შესაკერად

# კაბებს

ძლიერ იაფად, ოთხიდან ექვს მანეთამდე ფასონს.

იქვე, სახელოსნოს მეორე განყოფილებაში, მიიღებენ შესაკერად ყოველ გვარ **თეთრეულს**, **მეტკებს** და მოსაქარგად აბრეშუმს—ფერადის ძაფებით, მუთაქა ბალიშს და სხვ.

**ჭრა-კერვის** კურსებზედ მიიღებენ მოზრდილ ქალებს. (4—344—3).

---

გამოვიდა ახალი

# კატალოგი

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიის წიგნებისა. მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ უფასოდ წიგნის მაღაზიებში.

---

ს.-პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ი ს კ ო მ პ ა ნ ი ა

# „ნ ა დ ე ჟ დ ა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

## დაარსებულია 1847 წელს

| | | |
|---|---|---|
| მარიითადი | თანხა . . . . | 1.650.000 მან. |
| სათადარიგო | თანხა . . . . | 2.664.808 მან. |

დ ა ზ ღ ვ ე ვ ი ს ო პ ე რ ა ც ი ე ბ ი.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გაიგზავნის როგორც ხმელეთით, ისე ზღვით ირხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) დაზღვევა ყოველგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბირჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციის აწარმოებს 350 ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგება ს. პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას**„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვის პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, გრიბოედოვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—6—48)

---

მ ს წ რ ა ფ ლ მ ბ ე ჭ დ ა ვ ი

# სტამბა

ექვთიმე ივ. ხელაძისა,

რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში, (იარმუკაში) სომხის სასულიერო სემენარიის სახლებში;

იღებს ყველა-ნაირ საბეჭდავ საქმეებს, როგორც რუსულს და ქართულს, აგრეთვე ყველა უცხო ენებზედაც.

სტამბას აქვს დამზადებული საფაბრიკო ინსპექციისაგან ახალი შემოღებულიყველა დავთრები და წიგნაკები, აგრეთვე პოლიციის და სამსაჯულო ბოქაულების დავთრები.

ფ ა ს ი ყ ვ ე ლ ა ს თ ვ ი ს ხ ე ლ მ ი ს აწ ვ დ ო მ ი ა.

---



# სწორედ მუქთია,



იტყვის ყველა, ვინც გამოიწერს ჩვენგან მხოლოდ **5 მ. 45 კ.** ჩვენისავე გაგზავნით.

უგზავნით 7 შემდეგს ნივთს: 1) **საათი** გაშავებული ფოლადისა, ქალისა ანუ კაცისა, მაგარის მექანიზმით, სწორის მუშაობით, 6 წლის ვადით ბუღდავანობით; 2) მეშის ბუდე საათისთვის; 3) **ძეწკვი** საათისა, ქალისა ანუ კაცისა; 4) **ბრელოკი** ახალი ოქროსი „კომპასი“, ანუ «ბინოკლი» საინტერესო სანახავით ან სხვ.; 5) ტყავის ქისა. ფულისთვის მთელის ნაჭრისა, 7 განყოფილებით და მყიდველის ბეჭდით; 6) **მუშტუკი** დ-რის კოხისა თამბაქოს მწეველთათვის, ანუ კალმის დანა; 7) **ოქროს ბეჭედი** 56 პრობისა ან ჯიბის ელექტრონის ფარანი, ანუ ტყავის პორტსიგარი ან მეშის ჩანთა ქამარზე ჩამოსაბმელი. თავსახურავიანი საათი გაეგზავნება, ვინც 6 მ. 75 კ. გამოგზავნის.

შეკვეთილი ნივთები გაეგზავნებათ დაუყოვნებლივ და კეთილ სინიდისიერად ბეს გამოგზავნა საჭირო არ არის, ნივთები ფასდადებით გაეგზავნებათ.

ადრესი: **სავაჭრო სახლი ფელიკიანი და კომპ., ვარშავა, 36—333**

P. s. აზიის რუსეთსა და ციმბირში ნაწილი გზის ხარჯისა მყიდველთ გადახდებათ ნივთებიც მხოლოდ წინადვე ბეის მიღების შემდეგ გაეგზავნებათ. 3—6—3)

---

ვისაც კი გსურთ აიცილოთ გაქურდვა და დამშვიდებული იყვეთ **ჩუიდევით**, მარტო 4 მან. 90 კაპ., სააუდამო, უკეთესად შემუშავებული ავტომატიური ხმაურობის გამომწვევეელი აპარატი **„ენდოლიანსი“**, მოწონებული ფინანსთა სამინისტროს მიერ № 13,884.

შეგიძლიანთ დაჰკეტოთ ყოველ გვარი სადგომი და საწყობი, ისინიც კი, რომლებიც იმყოფებიან თქვენგან მოშორებით. შეგიძლიანთ აგრეთვე წახვიდეთ სადმე დულ-გამშვიდებული, რომ არ გეშინოდეთ ქურდებისა. **„ენდოლიანსი“** ანიშნებს როგორც შიგნით, ისე გარეთ მყოფთაც. რაწამს დაუპატიჟებელი სტუმარი შეხებაა კარებს, ფანჯარას ანუ კარებს გასაღებად, აპარატი **„ენდოლიანსი“**, გარედგან შეუმჩნეველი, გამოიწვევს საშინელ ხმაურობას, მარტო თოფის წამლის აფეთქებით, საშიში არ არის. ხმაურობა ისმის სადგომის შიგნითაც და გარეთაც და აგრეთვე შორ მანძილზედაც. თუ სადგომის პატარა ზარს შეაერთებთ აპარატთან, მაშინ აპარატის ხმაურობასთან ერთად ზარი დაიწყებს წკარუნს, რომელ სადგომშიაც უნდა იყოს, და არ შეჩერდება ვიდრე სახლის პატრონთაგანი ვინმე არ შეაჩერებს.

**„ენდოლიანსი“** საჭიროა საყდრებისა, სახლებისა აგარაკებში, მაღაზიებისა, ბეღლებისა, ჩარდახებისა, სარდაფებისა, მარნებისა, თავლებისა და სხვა სადგომების გაქურდვისაგან დასაცველად. როგორ ადგილშიაც უნდა იყოს სადგომი, სულ ერთია. ეს აპარატი მაგარი ნამუშავარია და ყველას ადვილად შეუძლიან იხმაროს.

ფასი გაგზავნით: ნიკელ გადაკრული აპარატი ჰყირს 4 მან. 90 კაპ., შევერცხლილი—5 მან. 60 კაპ.; ფასს დადებით 10 კაპეიკით მეტი ჰღირს, აზიის რუსეთში კი 30 კაპეიკით მეტი. ვინც ციმბირში გაიწერს, უნდა გამოგზავნოს 2 მან. ბეთ. შეიძლება ფოშტის მარკებით.

მსურველთ მოითხოვონ ამ ადრესით: Т-во „Эндолянъ“. Варшава, Милая 37/105.

გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ ი ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ა.
(5—6—)